სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3-03
02/07/2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთათვის 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის ვადების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ი" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-19 მუხლის და მე–20 მუხლის 1–ლი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიერ 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის თაობაზე განცხადებების მიღების ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 7 სექტემბერი;

2. სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის თაობაზე განცხადებების განხილვა და ხელშეკრულებების გაფორმება მოხდეს არაუგვიანეს 2015 წლის 10 სექტემბრისა;

3. დაევალოს ფაკულტეტებს, არაუგვიანეს 2015 წლის 11 სექტემბერს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს ფინანსების ადმინისტრირების მიმართულებით, ნიკოლოზ ყაველაშვილს მიაწოდოს იმ სტუდენტთა სია, რომლებიც სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის შესახებ გააფორმებენ ხელშეკრულებას;

4. ფაკულტეტებს დაევალოს უზრუნველყონ ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის;

5. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე, ირინა ბაზღაძეს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი"-ს საშუალებით;

6. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ფაკულტეტებს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის სამმართველოებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სამდივნოს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე - ირინა ბაზღაძეს.

დავით აფრასიძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ადმინისტრაცია